უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№11 (90) 2018

მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რანჟირებაში თსუ რეგიონის ლიდერია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი U.S.News&World Report-ის 2019 წლის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რანჟირებაში კვლავ ერთადერთი უნივერსიტეტია რეგიონიდან, რომელიც 500 საუკეთესოთა შორისაა და მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-ში შედის. 2019 წლის რანჟირებისთვის განხორციელებულ კვლევებში მსოფლიოს 75 ქვეყნის 1250 საუკეთესო უნივერსიტეტი მოხვდა. U.S.News&World Report-ის მონაცემებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში 435-ე ადგილს იკავებს. დარგობრივი რანჟირებით კი თსუ-მ ფიზიკის მიმართულებით 278-ე ადგილი დაიკავა. U.S.News&World Report უკვე 30 წელია რაც მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რანჟირებას აქვეყნებს.

თსუ მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯი გაიხსნა, რომელიც 2018 წლის გაზაფხულზე დაფუძნდა; კოლეჯმა ახალი სტატუსით გაიარა ავტორიზაცია და განახორციელა 120 პროფესიული სტუდენტის საკონკურსო ჩარიცხვა შემდეგ მოდულურ პროგრამებზე: ტელერეჟისურა, საოპერატორო ხელოვნება, ვიდეო მონტაჟი, საგელევიზიო გრაფიკა, ფოტოგრაფია, ტელე-რადიო წამყვანი და რეპორტიორი.

თსუ-ში ლიტერატურული წრე „93-ე აუდიტორია“ აღდგა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილი ლიტერატურული წრე „93-ე აუდიტორია“ აღდგება, განახლდება ალმანახ „პირველი სხივის“ გამოცემაც. გადაწყვეტილება ამის შესახებ შეხვედრაზე მიიღეს, რომელსაც თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, თსუ კურსდამთავრებულები – ცნობილი მწერლები, გამომცემლები, თავის დროზე „93-ე აუდიტორიის“ წრის წევრები დაესწრნენ.

ჩინეთის მთავრობის სტიპენდია თსუ კურსდამთავრებულისთვის

გვ. 4

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანოტირებული ბიბლიოგრაფია“ – სტუდენტური პროექტი თსუ-ში

გვ. 3

უნივერსიტეტი ERASMUS +-ის პროგრამებში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველია საქართველოში იმ სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობით, რომელიც 2018-2020 სასწავლო წლებში ERASMUS+ International Credit Mobility-ის დაფინანსებულ პროგრამაში მონაწილეობს. თსუ 300-მდე სტუდენტი, პროფესორი თუ ადმინისტრაციული პერსონალი ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში ისწავლიან და აიმაღლებენ კვალიფიკაციას.

გამოცდილების გაზიარება პროფესიულ საქმიანობაში, სასწავლო თუ სამეცნიერო აქტივობები, ახალი მეგობრები და ახალი შთაბეჭდილებები, – თსუ-სა ERASMUS + ერთობლივი გაცვლითი პროგრამების შესახებ თსუ სტუდენტი სანდრო გიგაური და თანამშრომლები ნუნუ მიცკევიჩი და ნიკა მელქაძე გვიყვებიან.

***

„თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაზე ინგლისურს გაძლიერებულად ვსწავლობთ, სასწავლო მასალებს კი ვამუშავებთ უცხოენოვანი აკადემიური გამოცემებიდან. ეს გამოცდილება ძალიან დაგვეხმარა საზღვარგარეთ სწავლის დროს. უმეტეს საგანში სწავლების ფორმატი ემთხვეოდა თსუ-ს ფორმატს, რამაც მნიშვნელოვნად გააადვილა ჩემთვის სწავლის პროცესი“, – გვიყვება სანდრო

გაგრძელება მე-2 გვ.

ვილნიუსის უნივერსიტეტის სტუდენტის ქართული თავგადასავალი

ვილნიუსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტის სტუდენტმა გაბრიელუს ზეივეცკასმა გაცვლითი პროგრამით სასწავლებლად საქართველო ორი მიზეზის გამო შეარჩია: ძირითადი მიზეზი ჩვენი კულტურის შესწავლის სურვილი იყო. ამას გარდა, გავლენა არაჩვეულებრივი ბუნების ნახვის სურვილმაც მოახდინა. ახლა, საქართველოთი მოხიბლული გაბრიელი, როგორც მას ამხანაგები ეძახიან, ქართული სიმღერების შესწავლას და ბევრი ახალი მეგობრის შეძენას გეგმავს.

რას სწავლობს გაბრიელი თსუ-ში...

აღრე ჩემს მეგობართან ვისაუბრე და მიეხვდი, რომ ის ახალგაზრდები, ვისაც მხოლოდ დროსტარება უნდოდათ, გაცვლითი პროგრამისთვის ირჩევდნენ ესპანეთს, იტალიას, ან თურქეთს. მე მსურდა ქვეყნის კულტურასაც გაეცნობოდი და ასევე დიდებული ბუნებაც მენახა. სწორედ ამ მიზეზით ავირჩიე საქართველო. თან ჩვენს უნივერსიტეტს თანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული თსუ-სთან. საგნების ნაწილს სამაგისტრო პროგრამიდან გავდივარ. შერეული ლექციებია. სულ 8 ლექცია კვირის განმავლობაში. რუსულში, ქართულში, მოლაპარაკებების უნარებში, საქართველოს ეთნოლოგიასა და მითოლოგიაში და ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკური სისტემების შესახებ. ძალიან ბედნიერი ვარ. ყველა მათგანი საინტერესო ჩანს. აქედან ყველაზე საყვარელი მოლაპარაკების უნარებია, მაგრამ ვფიქრობ უფრო აუცილებელი ჩემთვის ქართული და რუსული ენები იქნება. ორივეს შესწავლა მინდა. ახლა ქართული ანბანის წაკითხვა შემიძლია, რაღაც სიტყვებიც ვიცი, მაგრამ წინადადების შედგენა კვლავაც რთულია.

პირველ რიგში, როგორც პოლიტიკური მეცნიერებების სტუდენტი, ძალიან დიდი ჯგუფის წევრი ვარ, გვაქვს ლექციები 1000 სტუდენტისა და სემინარები 20-30 სტუდენტისთვის. თსუ-ში 10-15 სტუდენტისთვის გვიტარდება ლექციები. ძალიან მყუდროდ და კომფორტულად ვგრძნობ თავს, რადგან ამ დროს შანსი გაქვს პირდაპირი კონტაქტი გქონდეს ლექტორთან. გარდა ამისა, საკმარისი დრო გრჩება იმისათვის, რომ სხვა სტუდენტებს ესაუბრო (ლექციები ქართულში საერთაშორისო სტუდენტებთან გვაქვს). დანარჩენები ლექციები უფრო შერეულია და ქართველი და უცხოელი სტუდენტები ერთად ვართ. ქართველებთან ლექციების შემდეგ შეიძლება მათთან კულტურაზე, ქალაქზე, კონკრეტულ ფაქტებზე საუბარი.

საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში

გაგრძელება მე-3 გვ.

„შემოდგომის ლეგენდის“ 10 წელი

ფინალისტები საკუთარი შთაბეჭდილებებისა და ნაშრომების შესახებ

2018 წელს თსუ ასი წლის იუბილესთან ერთად, კიდევ ერთ საიუბილეო თარიღს აღნიშნავს. თსუ სტუდენტურ ლიტერატურულ კონკურსს „შემოდგომის ლეგენდა“ 10 წელი შეუსრულდა. ნოემბრის დასაწყისში იმპროვიზაციულ ტურს ახმეტის რაიონში მდებარე ბაბანეურის მარანმა უმასპინძლა. ჟიურის გადაწყვეტილებით მონაწილეებს საინტერესო დავალება მისცეს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივში დაცული დიპლომები. 12 საათის განმავლობაში კონკურსანტები ნაწარმოებებს და სიუჟეტებს სწორედ იმ დიპლომებზე ქმნიდნენ, რომლებიც მეპატრონეებმა არქივში დატოვეს და არ მოიკითხეს.

2018 წლის შემოდგომაზე ორი, წინასაიუბილეო და საიუბილეო „ლეგენდა“ ჩატარდა. პირველ მათგანში, განსხვავებული ფორმატით, ჟიურის წევრები და გასული წლის გამარჯვებულები ერთმანეთისთვის შერჩეულ თემაზე წერდნენ ნაწარმოებებს. ასე რომ, სულ მალე, „შემოდგომის ლეგენდა 10“-ის გამარჯვებულის პარალელურად, წინასაიუბილეო ლეგენდის გამარჯვებულებიც გამოვლინდებიან. მონაწილეებთან ერთად, საზოგადოება დიდი ინტერესით ელოდება ჟიურის წევრების ნაწერებს და საუკეთესო ავტორის ვინაობას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „ჯეოსელის“ ერთობლივი პროექტი 2009 წელს დაარსდა. მისი მიზანია ახალგაზრდებისთვის პირველი შემოქმედებითი ნაბიჯის გადადგმის გამარტივება, ახალი

გაგრძელება მე-4 გვ.

ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები აბიტურიენტებისათვის განკუთვნილი პროგრამის პრეზენტაცია თსუ-ში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის უნივერსიტეტში უფასო მოსამზადებელი ცენტრი შეიქმნება, რომელიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ აბიტურიენტებს ეროვნული გამოცდებისთვის მოამზადებს. ამის შესახებ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა თსუ-ში აბიტურიენტებთან შეხვედრისას განაცხადა. მინისტრმა სამშვიდობო ინიაციტივის – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი აბიტურიენტების მომზადების პროგრამის პრეზენტაცია გამართა.

სტუდენტური სასწავლო ჟურნალის – „გზავნილის“ პრეზენტაცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტური სასწავლო ჟურნალების პრეზენტაცია გაიმართა. ჟურნალისტური პროდუქცია იქმნება თსუ-ის სტუდენტების მიერ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული პრაქტიკების შედეგად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი თსუ სტუდენტებს შეხვდა

თუ რა ხდება გლობალურად ეკონომიკაში, როგორ იცვლება ბიზნესმოდელები ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში, რა გამოწვევების წინაშე დგას სახელმწიფოები და მათ შორის, საქართველო ამ მიმართულებით, - ამ და სხვა საინტერესო თემებზე ისაუბრა დღეს ფინანსთა მინისტრმა, ივანე მაჭავარიანმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ასევე, საერთაშორისო ეკონომიკური სკოლის სტუდენტებთან შეხვედრისას.

მინისტრმა ასევე, ყურადღება გაამახვილა ჭარბვალიანობის პრობლემის მოგვარების მიზნით მთავრობის მიერ გაცხადებულ ახალ ინიციატივაზე. კითხვაზე არსებობს თუ არა რისკი, რომ მოსახლეობის ნაწილმა კვლავ დააგროვოს დავალიანება, ფინანსთა მინისტრმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პირობებში.

წიგნი „საჩხერის მუნიციპალიტეტი“ – თსუ სტუდენტური პროექტის ახალი პროდუქტი

ცოტა ხნის წინ სტუდენტური პროექტის: „საჩხერის მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების გეოგრაფიული კვლევა“ ფარგლებში უნივერსიტეტის ეგიდით წიგნი „საჩხერის მუნიციპალიტეტი“ დაისტამბა.

უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტის კვლევის მთავარი მიზანი საჩხერის მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი ძეგლების აღრიცხვა და შეფასება იყო. კერძოდ, მათი პრაქტიკული მნიშვნელობის შესწავლა და პოტენციალის გამორკვევა: ტურისტულ-რეკრეაციული, აგრარული, სამკურნალო, სპორტული, კულტურულ-ისტორიული, არქეოლოგიური და სხვა თვალსაზრისით. წიგნში განხილულია როგორც მოქმედი სოფლები, აგრეთვე რუსეთის მიერ ოკუპირებული სოფლები, XX საუკუნის 50-იან წლებში წარმოქმნილი ნასოფლარები (მოსახლეობა გადაასახლეს: აფხაზეთში, კახეთში, მესხეთში). გარდა ამისა, ცალკეული ხეობების მიხედვით არსებული საინტერესო ტურისტული ობიექტები.

სტუდენტური სამეცნიერო პროექტის ავტორები თსუ გეოგრაფიის და ეკოლოგიის სპეციალობის სტუდენტები არიან: მარიამ ჯაფოშვილი (ხელმძღვანელი), სალომე თაბაგარი, მერი ჩიტიშვილი, დავით დალაქიშვილი, თათია ჩიქოვანი. პროექტის კოორდინატორი გეოგრაფიის დოქტორი, თსუ ასისტენტ პროფესორი გიორგი დვალაშვილი გახლდათ.

საჩხერის მუნიციპალიტეტის შესწავლის სურვილი და იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც მსგავსი პროექტი „ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი ღირსშესანიშნავი ძეგლების გეოეკოლოგიური კვლევის“ სტუდენტთა ჯგუფმა 2017 წელს წარმატებით განახორციელა და ასევე წიგნის სახით გამოსცა. ახლანდელის მსგავსად, სტუდენტური პროექტი სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსდა.

საველე კვლევის შედეგად მიღებული მასალებზე აგებული წიგნი გარკვეულ საფუძველს იძლევა საჩხერის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გასაცნობად. პროექტის ხელმძღვანელის, გიორგი დვალაშვილის თქმით, წიგნი საჩუქარად გადაეცემა ბიბლიოთეკებსა და საჩხერის სკოლებს.

უნივერსიტეტი ERASMUS +-ის პროგრამებში

პირველი გვერდიდან

გიგაური. ის ერთ-ერთია იმ თსუ სტუდენტებს შორის, რომელსაც Erasmus+ პროგრამის ფარგლებში სწავლა დაუფინანსდა. ავსტრიაში, ქალაქ ზალცბურგში იმყოფებოდა და პოლიტიკის მეცნიერებისა და ევროპათმცოდნეობის მიმართულებაზე ერთი წელი სწავლობდა. ამბობს, რომ გერმანულ უნივერსიტეტში სწავლა ბავშობიდან გადაწყვეტილი ჰქონდა.

„საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვეუფლებოდი გერმანულ ენას, შესაბამისად, მქონდა იმის სურვილი, რომ გერმანულენოვან ქვეყანაში გამეგრძელებინა სწავლა და გამეუმჯობესებინა ჩემი კომპეტენცია ამ ენაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნამდვილად აძლევს სტუდენტს იმ საფუძველს, რათა მან პრობლემების გარეშე შეძლოს სწავლის გაგრძელება საზღვარგარეთ. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ფაქტობრივი ცოდნა, რითაც თსუ-ს სტუდენტები არათუ არ ჩამოუვარდებიან, არამედ უსწრებენ კიდევაც ევროპელ თანატოლებს“, – ამბობს სანდრო.

სანდრო გიგაურის თქმით, განვითარება, როგორც პროფესიული, ისე მენტალური თვალსაზრისით, ის ფასდაუდებელი შედეგია, რასაც საზღვარგარეთ სწავლა იძლევა. თუმცა, ყველაზე მთავარი არ უნდა გამოგვრჩეს – ახალი მეგობრები და მოგონებები; სანდროსთვის ავსტრიაში ყოფნის საუკეთესო მოგონება იქ გატარებული შობა – ახალი წელია.

„ევროპაში ეს დღესასწაულები სრულიად განსხვავებულად და ბევრად უფრო გრანდიოზულად აღინიშნება. ვყოფილიყავი მსგავსი დღესასწაულისა და ტრადიციების მომსწრე, იყო ნამდვილად საინტერესო გამოცდილება. იქ სწავლის პერიოდი კი, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი იქნება ჩემს ცხოვრებაში. მქონდა საშუალება, მეცხოვრა დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ და განვითარებულ მხარეში. ის უნარ-ჩვევები, რომლებიც იმ დროის განმავლობაში გამოვიმუშავე, ვფიქრობ, უაღრესად მნიშვნელოვანია და აუცილებლად დამეხმარება მომავალში.

თსუ-ს გაცვლითი პროგრამები არის საუკეთესო საშუალება მოტივირებული სტუდენტებისათვის, ერთი წლისა თუ სემესტრის განმავლობაში გამოსცადონ სრულიად უცხო გარემოში ცხოვრება, გახდნენ მეტად დამოუკიდებელი და მიზანდასახულნი“, – ამბობს სანდრო. იგი ამჟამად თსუ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელ კურსზეა. სამომავლოდ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელებას აპირებს გერმანიაში, ევროპათმცოდნეობის მიმართულებით.

***

თსუ ინოვაციების ცენტრის ხელმძღვანელი ნიკა მელქაძე 2018 წელს 26 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით ERASMUS +-ის ფარგლებში პერსონალის საერთაშორისო კვირეულზე, ესპანეთში იმყოფებოდა. ამბობს, რომ საკუთარ საქმიანობაში წარმატების მისაღწევად საჭიროა სხვადასხვა განვიარებული ქვეყნების მაგალითებისა და მომჯნავე სფეროების უკეთ გაცნობა.

„განსაკუთრებით საინტერესოა განვითარებული ევროპული ქვეყნების მაგალითების გაცნობა, რათა უნივერსიტეტი მზად იყოს ევროპული გრანტების მოპოვებისთვის მომავალში. განვითარების პროცესში მნიშვნელოვანია ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის საქმიანობის გაცნობა. ვიზიტის ფარგლებში კორუნას საუნივერსიტეტო კომპლექსი და სანტიაგო-დე-კომპოსტელას უნივერსიტეტი მოვინახულე, გავეცანი კვლევითი ინსტიტუტების და ტექნოლოგიების გადაცემის ოფისის მუშაობას, რაც ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო. ვესტუმრეთ ფაკულტეტებს და ვესაუბრეთ აკადემიურ პერსონალს. შესაძლებლობა გვქონდა, როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ასევე ადმინისტრაციის მუშაობის სპეციფიკის გაცნობის.

სასარგებლოა ასევე პერსონალური ნაცნობობისა და ურთიერთობების დამყარება წარმატებულ ევროპულ უნივერსიტეტებთან. ვთვლი, რომ ეს გამოცდილება ძალიან გამომადგება უნივერსიტეტში ჩემი საქმიანობის განხორციელებაში. შეუძლებელია არ ვახსენო კორუნას უნივერსიტეტის სამაგალითო სტუმართმოყვარეობა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლების მასპინძლობისას გამოავლინეს,“ – აღნიშნავს ნიკა მელქაძე.

***

ERASMUS + აკადემიური პერსონალის გაცვლილით პროგრამით, ასოცირებულმა პროფესორმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ნუნუ მიცკევიჩმაც ისარგებლა. ქალბატონი ნუნუ ჩვენთან საუბრისას იხსენებს, რომ ის ერთ-ერთი პირველი იყო იმ სტუდენტებს შორის, რომლებმაც საერთაშორისო გაცვლითი პროგრამით ისარგებლეს 90-იან წლებში.

„ევროპულ უნივერსიტეტებთან გაცვლითი პროგრამებით საკმაოდ განებივრებულები ვართ თსუ-ს პერსონალი და სტუდენტები, რაც საუკეთესო საშუალებაა ცოდნისა და გამოცდილების ორმხრივი გაზიარების, კვალიფიკაციის ამაღლების, მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის, საკუთარი თვითშეფასებისთვის და ევროპულ სტანდარტებთან ბიარებისთვის.

ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამები, რომელიც ტემპუსის სახელით იყო ცნობილი და ახლა უკვე ერზმუსის სახელით ვიცნობთ, მესამე ათწლეულია მუშაობს საქართველოში. მე ვიყავი ერთ-ერთი პირველი სტუდენტი, რომელიც სწორედ მაშინდელი ტემპუსის პროექტის ფარგლებში, წინა საუკუნის 90-იან წლებში გახლდით საფრანგეთში, ბრესტის უნივერსიტეტში. ეს იყო ჩემი პირველი გამოცდილება უცხოეთში სწავლისა. იმ პირველი მობილობის შთაბეჭდილება და მიღებული ცოდნა დღემდე აისახება ჩემს სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობაზე. ბოლო წლებში განხორციელებული ჩემი თითოეული მობილობა ევროპულ უნივერსიტეტებში, რომელსაც გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ვახორციელებ, დღეს უკვე როგორც მეცნიერი და ლექტორი, ემოციურად დაკავშირებულია იმ პირველ სტუდენტურ გაცვლით პროგრამასთან, რომელიც იყო ბიძგი სწორი მიმართულებით სვლის იმ მძიმე წლებშიც კი, როცა საქართველოს უნივერსიტეტებში არათუ მეცნიერების ექსპერიმენტული დარგებისთვის, ელემენტარული სწავლებისთვისაც კი არ გვქონდა სათანადო პირობები“, – ამბობს ნუნუ მიცკევიჩი.

ნუნუ მიცკევიჩი კორუნას უნივერსიტეტში იმყოფებოდა. მისი კვლევის სფეროს სომსივნის იმუნოლოგია წარმოადგენს, გაცვილითი პროგრამის ფარგლებში სასწავლო და სამეცნიერო აქტივობების გარდა, მონაწილეობას იღებდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეხვედრებში, გაცნობით სამეცნიერო ტურებში. უნივერსიტეტებში შეხვდა თსუ სტუდენტებსაც, რომლებიც ერთი სემესტრით იმყოფებოდნენ კორუნას უნივერსიტეტებში.

“2018 წლის გაზაფხულის სემესტრში ერაზმუსის პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში ვიმყოფებოდი ესპანეთის ორ უნივერსიტეტში – გრანადას უნივერსიტეტსა და კორუნას უნივერსიტეტში. პროგრამის ძირითადი მიზანი იყო სასწავლო და სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის მიღება, ლექციების წაკითხვა, პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება, ასევე ახალი სამეცნიერო კონტაქტების დამყარება. ევროპულ უნივერსიტეტებს შორის. გრანადას უნივერსიტეტი შევარჩიე იმუნოლოგიის დარგში საერთო სამეცნიერო ინტერესიდან გამომდინარე.

სამეცნიერო თემატიკა, რომელიც ჩემთვის აქტუალურია და დღეისათვის ჩემი კვლევის სფეროს წარმოადგენს, არის სიმსივნის იმუნოლოგია, ანტისიმსივნური პასუხის კვლევა და მისი ეპიგენეტიკური მოდელირების საშუალებების ძიება. მოგეხსენებათ, რომ სიმსივნის იმუნოთერაპია დღეს სწრაფად განვითარებადი და ერთ-ერთი საიმედო მიმართულებაა კიბოს მკურნალობში. წლევანდელი ნობელის პრემიაც სწორედ იმუნოთერაპიაში მიღწევებისთვის იქნა მინიჭებული.

ჩემი ვიზიტის ერთ-ერთი შედეგია გრანადას უნივერსიტეტის იმუნოლოგებთან ერთად საკონფერენციო განაცხადის მომზადება, რომელიც უკვე დაფინანსდა რუსთაველის ფონდის მიერ და 2019 წლის 29 აპრილი – 2 მაისს ქ. თბილისში გაიმართება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით “სიმსივნის იმუნოთერაპია და იმუნომონიტორინგი”, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში ცნობილი იმუნოლოგები, ონკოლოგები და სხვა მომიჯნავე დარგების სახელოვანი მეცნიერები ევროპისა და ამერიკის ცნობილი სამეცნიერო სკოლებიდან. ეს კონფერენცია იქნება საუკეთესო საშუალება ქართველ და უცხოელ მეცნიერთა სამუშაო შეხვედრების, შემდგომი თანამშრომლობისთვის და ქართული მეცნიერების ინტერნაციონალიზაციისთვის იმუნოლოგიის დარგში.

თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ბიოლოგიის დეპარტამენტში, იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრაზე უკვე რამდენიმე წელია პროსტატის თაგვის მოდელზე მიმდინარეობს ერთობლივი ესპერიმენტები ამერიკელ მკვლევარებთან ერთად. ჩვენ ვსწავლობთ დენდრიტულ უჯრედებს და მათ პოტენციალს ანტისიმსივნურ იმუნურ პასუხსა და სიმსივნის თერაპიაში. ჩემთვის საინტერესო იყო ევროპული სამეცნიერო სკოლების გაცნობა ამ მიმართულებით და თანამედროვე კვლევის მეთოდების ათვისება.

ვიცოდი, რომ სწორედ გრანადას უნივერსიტეტში მუშაობს იმუნოლოგთა ჯგუფი სიმსივნის საწინააღმდეგო იმუნურ პასუხზე. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო გამოცდილების გაზიარება და მომავალი ერთობლივი პროექტების დაგეგმვა.

მე ვურჩევ ყველა სტუდენტს და პედაგოგს გამოიყენონ ეს შანსი. გაცვლითი პროგრამები საუკეთესო საშუალებაა პროფესიული და პიროვნული ზრდისთვის, განათლებისა და მეცნიერების ევროპულ სტანდარტებთან ბიარებისთვის, რაც ჩვენი ხვალინდელი დღის უკეთესობისკენ სწორად გადადგმული ნაბიჯი იქნება“, – ამბობს თსუ პროფესორი ნუნუ მიცკევიჩი.

ვილნიუსის უნივერსიტეტის სტუდენტის ქართული თავგადასავალი

პირველი გვერდიდან

ჩვენს კოორდინატორ მარიამს ივლისში გადავუგზავნე წერილი კითხვით საცხოვრებლის შესახებ. გვითხრეს, რომ უბრუნველყოფლი იქნებოდა. ეს მართლაც კარგი იყო, რადგან ენის არცოდნისას საცხოვრებლის მოძებნა მარგივი არ იქნებოდა. მომწონს ოთახები კამპუსში და მთლიანად კამპუსი. ცოტა შორია ცენტრიდან, მაგრამ ეს არ არის დიდი პრობლემა. ხალხს ამაზე ბევრად დიდი პრობლემები აქვს მთელს მსოფლიოში.

ზოგი გამყიდველი მართლა ძალიან კარგია..

თბილისი ვილნიუსისგან განსხვავდება, 2 კვირის წინ ძველ თბილისში გავისეირნე და ვიგრძენი, რომ ის ჩემთვის ახლობელი იყო. ვილნიუსის მსგავსად ვიწრო ქუჩებია, პაგარა კაფეები და რესგორნები. საბურთალოზე, სადაც ვიყავი, საშუალება მქონდა მაღაზიებში ხალხს გავესაუბრებოდი. ხილს და ბოსტნეულს რომ ყიდულობ, რაღაცას შენ გეკითხებიან, რაღაცას შენ, მაგალითად თუ როგორ წარმოითქმის 50. რაც შეეხება ვაჭრობას, მყავს მეგობარი, რომელიც პესიმისტურად არის განწყობილი, და ფიქრობს რომ შეიძლება ჩვენთვის ფასებს მაღლა სწევდნენ. მაგრამ მე ვფიქრობ, რაღაც ფასების ცვლილებას სეზონური ცვლილებები განაპირობებს. ზოგი გამყიდველი მართლა ძალიან კარგია. მაგალითად, ერთმა ქალმა მითხრა, არ მოგყიდი, რადგან ძალიან ძველი სამამთრთოაო. მას შეეძლო უბრალოდ მოეცა და პროდუქტი და ფული აეღო, მაგრამ ასე არ გააკეთა. სხვა დროს, როდესაც ადამიანს პროდუქტის ფასებზე ვესაუბრებოდი, მეგონა რომ პროდუქტის ფასი 50 ლარი იყო, 15 ლარის ნაცვლად. შევევაჭრე, 40 ლარად მომცე იქნებოქო და იმან რას ამბობ, 15 ლარი ღირსო. ძალიან მსიამოვნებს იმ ხალხთან ურთიერთობა, ვისგანაც რაღაცას ვყიდულობ. განსაკუთრებით, როდესაც ვეუბნებოთი, რომ რუსეთიდან არ ვართ. ქართულად თუ რამეს ვეტყვი, კარგი ბიჭი ხარო მეუბნებიან.

სიმღერა აერთიანებს

კვირაობით უფრო მეტი დრო გვაქვს და შეგვიძლია ჩვენს ქართველ მეგობლებთან ერთად სადმე გავემგზავროთ. უკვე ვიყავით ბათუმსა და სიღნაღში. ველოდები, რომ კიდევ უფრო მეტ მეგობარს შევიძენ. თსუ კულტურის ცენტრში ვიყავი იმის გასარკვევად, თუ შეიძლება უცხოელი სტუდენტი შეუერთდეს უნივერსიტეტის ფოლკლორულ ანსამბლს. ველოდები მათ ზარს. ჩემი ჰობი სიმღერაა, მეტ-ნაკლებად ვასრულებ რამდენიმე სიმღერასაც გიტარის თანხლებით. მჯერა, რომ სიმღერა ნამდვილად აერთიანებს. ჩემს მეგობრებთან ერთად ლიეტუვაში ყოფნისას სიმღერა მიყვარდა. იმედი მაქვს, რომ ჩემი მონაცემები მოეწონებათ, რამდენიმე ქართულ სიმღერას ვისწავლი და კარგ მეგობრებს შევიძენ.

ბილეთები საახალწლოდ ლიეტუვაში ჩასასვლელად ნაყიდი მაქვს. ეს იმდენად ჩემი გადაწყვეტილება არ იყო, რამდენადაც ჩემი მშობლების სურვილი. ვიფიქრე, რომ არდადეგები კარგი პერიოდი იქნებოდა უფრო მეტის შესასწავლად და გასაგებად, მაგრამ, ამავე დროს, შობა და ახალი წელი ის დღესასწაულია, რომელიც ოჯახთან ერთად უნდა აღნიშნო. ნამდვილად შემიყვარდა ეს ქვეყანა და უკან დაბრუნებაზე ვფიქრობ, მას შემდეგაც, რაც ჩემი სასწავლო სემესტრი დასრულდება. შესაძლოა ეს ბაფხულში იყოს, ან რამდენიმე წლის შემდეგ. მინდა შევიძინო მეგობრები, რომლებსაც შემდეგ უკვე ჩემს ქვეყანას დავათვალიერებინებ. მთავარი მიზები, რის გამოც აქაურობა შემიყვარდა, ბუნება და თბილი ხალხია. მიხარია ადგილობრივ მაღაზიებში ლანჩის ყიდვა, როდესაც ძალიან გულწრფელად მიღიმიან. ეს გულწრფელი ღიმილია და მათ ნამდვილად უხარიათ, როდესაც რამეს ქართულად ვეუბნები. ლისზე მზის ჩასვლას ვუყურე. მთების უკან ჩადიოდა და ძალიან ლამაზი იყო, ლიტვაში მთები არ გვაქვს.

სუფრა, როგორც კულტურის ნაწილი და მამის „ქართული წარსული“

ჩემს მშობლებს ვთავაზობდი ჩამოსვლას, მაგრამ რაღაც ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოახერხეს. თუმცა, მამაჩემი საქართველოში ნამყოფია. მას ქართველი მეგობარიც ჰყავს უნივერსიტეტიდან, რომლის კონტაქტიც მომცა და რომელსაც, ვფიქრობ, მალე შევხვდები.

მქონდა გასვლა ლიეტუველ გოგონასა და იტალიელ ბიჭთან ერთად. გვიან დავბრუნდი კამპუსში, თორმეტის შემდეგ კარი რომ გამოვაღეთ, სუფრა დაგვხვდა. მიგვიპატიჟეს, თავიდან ვიუარეთ, მაგრამ შემდეგ დავთანხმდით და არ გვინანია. ეს ნამდვილად ქართული კულტურის ნაწილი იყო. მამაჩემმა აქ წამოსვლამდე რამდენიმე დეტალის შესახებ მომიყვა, თუ როგორ უნდა მოვიქცე სუფრასთან. მაგრამ მე კვლავაც ცოტა ვიცი. ერთმა ძალიან ყურადღებიანმა კაცმა ამიხსნა რომელი სადღეგრძელოს შემდეგ ვისი სადღეგრძელო უნდა შეისვას, რისთვისაც მადლობელი ვარ. მინდა დავესწრო სუფრას თავიდან ბოლომდე. მამაჩემმა თავისი სტუდენტობისას 4 კვირა გაატარა აქ. ქართული ღვინო უგემრიელესია. ქართველმა მეგობარმა, რომელმაც წაგვიყვანა სამოგზაუროდ, ცოტა მოგვიყვა იმ განსხვავებებს შესახებ, რაც სხვადასხვა კუთხის ქართველებში არსებობს.

ლიეტუვაში ორი მეგობარი მყავს, რომლებიც ასევე გაცვლითი სტუდენტები იყვნენ თსუ-ში. მათ ასევე რაღაც რეკომენდაციები მომცეს. ერთს ვუთხარი, რომ ლიეტუველ სტუდენტებში საქართველოს რეკლამირებას ვაპირებდი და მითხრა არ გინდაო. იმიგომ, რომ ძალიან ბევრი სტუდენტი ჩამოვა საქართველოში, ამან კი შეიძლება საქართველოს შესანიშნავ კულტურას თვითმყოფადობა დააკარგინოსო. არ ვიცი რამდენად შეიძლება ამან კულტურაზე იმოქმედოს, მაგრამ ძალზე სამწუხარო იქნება თუ ამან საქართველოს უნიკალური კულტურა შეიძლება დააკარგვინოს. იმიგომ, რომ იგი ძალზე განსხვავებულია დასავლური კულტურისგან, შესაძლოა ისე განსხვავებული არა, როგორც მაგალითად იაპონიის, მაგრამ მაინც.

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანოტირებული ბიბლიოგრაფია“ – სტუდენტური პროექტი თსუ-ში

„ნებისმიერი პროექტის განსახორციელებლად, ყოველთვის საჭიროა მხარდაჭერა, ვინაიდან მხოლოდ სტუდენტური რესურსებით, ხშირ შემთხვევაში ეს შეუძლებელია. თსუ სტუდენტური დაფინანსების კონკურსი კარგი საშუალება იყო იმისათვის, რომ ჩემი პროექტი მხარდაჭერით განხორციელებულიყო,“- ამბობს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი მანუჩარ გუნცაძე, რომელმაც სტუდენტებისთვის საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ კვლევების გასამარტივებლად ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შექმნა გადაწყვიტა.

პროექტი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანოტირებული ბიბლიოგრაფია (ქართულენოვანი მასალების მიხედვით)“ თსუ სტუდენტური პროექტების დაფინანსების კონკურსზე წარადგინა და დაფინანსებაც მიიღო.

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდი ჩემი კვლევის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. ბაკალავრიატში სწავლის ბოლო წლებიდან მოყოლებული ეს სწორედ ის თემაა, რომელსაც ეხება ჩემი პუბლიკაციები თუ საკონფერენციო მოხსენებები. ცხადია, სწავლის ახალ საფეხურზე გადასვლასთან ერთად, ჩემი ინტერესიც ამ მიმართულებით კიდევ უფრო ფართოვდებოდა,“ - ამბობს მანუჩარი.

ის ამჟამად დოქტორანტურის სტუდენტია და სადოქტორო ნაშრომიც, სწორედ პირველი რესპუბლიკის პერიოდს ეხება, უფრო კონკრეტულად კი, ცხინვალის რეგიონის კონფლიქტს.

„მიწევს დიდი რაოდენობით პუბლიკაციების (და არა მარტო პუბლიკაციების) მოძიება და დამუშავება ჩემთვის სასურველი ინფორმაციის, მასალის მოსაძიებლად. იდეაც სწორედ აქედან წამოვიდა, შექმნილიყო ანოტირებული ბიბლიოგრაფია, რომელიც თავს მოუყრიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ გამოცემულ ნაშრომებს. მსგავსი ანოტირებული ბიბლიოგრაფიები კი ყოველთვის ხელშემწყობი ფაქტორია შემდეგი კვლევების საწარმოებლად.

პროექტი მთლიანობაში მიზნად ისახავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენას. ეს გულისხმობს სტატიების, მონოგრაფიული ხასიათის პუბლიკაციებს, როგორც ქართულ, ასევე უცხო ენებზე. პროცესი, ცხადია, დროის ვრცელ პერიოდს მოითხოვს, ვინაიდან საქმე საკმაოდ შრომატევადია. პროექტი, ჩემი ხელმძღვანელობით, მიმდინარეობდა და მასში ჩართული იყო თსუ-ს კიდევ ერთი დოქტორანტი დავით კოხრეიძე.

პროექტი გულისხმობდა მთლიანი სამუშაოს პირველი ეტაპის, მხოლოდ ქართულენოვანი მასალის დამუშავებას. შედეგად, შეიკრიბა დიდი რაოდენობის მასალა, რომელიც სისტემატიზაციის შემდეგ გაერთიანდება უცხოენოვან მასალასთან და შესაძლებელი იქნება მისი გამოქვეყნება,“ - ამბობს მანუჩარი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკით დაინტერესება სამეცნიერო სივრცეში დიდია და პუბლიკაციების რაოდენობაც ყოველწლიურად იზრდება, ამდენად, მანუჩარ გუნცაძის სამომავლო გეგმებში ონლაინ მონაცემთა ბაზის შექმნა შედის, სადაც თავს მოიყრის აღნიშნულ თემაზე გამომავალი პუბლიკაციების ანოტირებული ბიბლიოგრაფია და შესაძლებელი იქნება მისი შევსება სისტემატიურად.

„პროექტის განხორციელებას ყოველთვის თან ახლავს ორი შედეგი, ერთი წმინდა სამეცნიერო, ხოლო მეორე გამოცდილების კუთხით. გამოცდილების კუთხით, პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანი შედეგის მომცემი იყო ჩემთვის მენეჯმენტისა და სამუშაოს დაგეგმვის მიმართულებით, რათა ყველაფერი გაწერილი გრაფიკის შესაბამისად განხორციელებულიყო. რაც შეეხება სამეცნიერო, გამოყენებით შედეგს, აქაც შედეგი ცალსახად დადებითია, ვინაიდან საბოლო ჯამში თავი მოიყარა იმ მასალამ, რომელიც სამუშაოს სრულად დასრულების შემდეგ ხელს შეუწყობს როგორც სტუდენტებს სასწავლო-კვლევით პროცესში, ასევე უკვე შემდგარ მეცნიერებსაც.

მნიშვნელოვანია, როდესაც უნივერსიტეტის მხრიდან ხდება სტუდენტის შესრულებული, ანდა შესასრულებელი სამუშაოს შეფასება შესაბამისი საკონკურსო კომისიის მიერ და მისი ხელშეწყობა; იქნება ეს უკვე შესრულებული სამუშაოს პუბლიკაცია, თუ მომავალი კვლევების წარმართვის ხელშეწყობა.

სტუდენტური პროექტების დაფინანსების კონკურსი უკვე ორი წელია მიმდინარეობს და რამდენჯერმე განიცადა რეფორმა, რისი მიზანიც საკონკურსო პირობების სრულყოფა იყო, თუმცა, ვფიქრობ, გარკვეული ცვლილებები კვლავ საჭიროა. შედეგიანი იქნება, თუ საკონკურსო პირობების სრულყოფისათვის, გარკვეული პერიოდულობით მოეწყობა შეხვედრები გრანტის მიმღებებსა და გამცემს შორის და განიხილება პრობლემატური საკითხები. ასეთი შეხვედრა კონკურსის თავდაპირველად გამოცხადების დროს მოეწყო უნივერსიტეტის მაშინდელ პრორექტორთან, ბაგონ მიხეილ ჩხენკელთან, რაც საკმაოდ ნაყოფიერი იყო. სწორედ ასეთი შეხვედრების გაგრძელება იქნება პოზიტიური თავად კონკურსისთვის, რათა მისი პროდუქტიულობა კიდევ უფრო გაიზარდოს.

რაც შეეხება ჩემს გეგმებს, უნივერსიტეტის მხრიდან მსგავსი მხარდაჭერა ჩემთვის მნიშვნელოვანია და აუცილებლად მივიღებ მომავალშიც მონაწილეობას სხვა, ჩემი აზრით, ასევე საინტერესო პროექტით და ვეცდები მის განხორციელებაში უნივერსიტეტის მხარდაჭერის მოპოვებას.

ჩინეთის მთავრობის სტიპენდია თსუ კურსდამთავრებულისთვის

თამარ ქვლივიძე – ცინგხუას უნივერსიტეტში ჩაბარებასა და ჩინურ გამოცდილებაზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების კურსდამთავრებული თამარ ქვლივიძე ამ დროისთვის ცინგხუას უნივერსიტეტის (პეკინი, ჩინეთი) განათლების ინსტიტუტის განათლების მეცნიერებების მიმართულების მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტია. მან 2017 წელს ჩინეთის მთავრობის სტიპენდია მოიპოვა.

კონკურსი სტიპენდიის მოსაპოვებლად ყოველ წელს ცხადდება და მასში მონაწილეობა საქართველოს ნებისმიერი აკრედიტირებული უნივერსიტეტის სტუდენტს ან კურსდამთავრებულს შეუძლია. თამარის მიერ მოპოვებული სამაგისტრო სტიპენდია, 2018-2021 წლებს მოიცავს. რატომ შეაჩერა არჩევანი კონკრეტულად ჩინეთზე თამარმა და რამდენად კომფორტულად გრძნობს იგი იქ თავს, ამის და კიდევ სხვა ბევრის შესახებ, იგი თავად მოგვიყვება.

ცინგხუას უნივერსიტეტი – მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგულ სიაში წამყვან ადგილზე

გადავწყვიტე მონაწილეობა მიმეღო, რადგან ჩინურ ენას ვეუფლები და დაინტერესებული ვარ ჩინური კულტურით. ამას გარდა, ვფლობდი ინფორმაციას ჩინეთის რამდენიმე უნივერსიტეტის შესახებ, რომლებიც განათლების მაღალი ხარისხითაა ცნობილი.

ვინაიდან ამ კონკურსისთვის წელიწადზე მეტ ხანს ვემზადებოდი, კონკურსის პირობების დაკმაყოფილება, საბოლოო ჯამში, რთული არ ყოფილა: უკვე ჩაბარებული მქონდა ჩინური ენის გამოცდა HSK6 (ყველაზე მაღალი დონე), მონაწილეობა მქონდა მიღებული ჩინეთთან დაკავშირებულ მრავალ კონკურსში (ყველაზე გამორჩეული გახლდათ „ჩინური ენის ხიდი 2017“ – ჩინური ენისა და კულტურის ცოდნის საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც მეორე ადგილი დავიკავე (საქართველოში) და ჩემი ქვეყნის სახელით მონაწილეობა მივიღე ამავე სახელწოდების საბაფხულო ბანაკში ჩინეთში, მსოფლიოს 104 ქვეყნის წარმომადგენელთან ერთად), მქონდა ჩემი პროფესორების მხრიდან მხარდაჭერა (სარეკომენდაციო წერილები), ძლიერი მოტივაცია და არცთუ ისე დაბალი აკადემიური მოსწრება (GPA 3.4/4). ამას გარდა, კონკურსამდე უკვე მქონდა კონტაქტი ჩინურ უნივერსიტეტთან, მათთან გასაუბრებაც წარმატებით გავიარე.

სასწავლებლად ცინგხუას უნივერსიტეტი ავირჩიე, რადგან იგი არა მხოლოდ ჩინეთის წამყვანი უნივერსიტეტია, არამედ მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგულ სიაშიც წამყვანი პოზიცია უჭირავს. „Times Higher Education“-ის მიხედვით, იგი მსოფლიოში 22-ე ადგილზეა და განთქმულია სწავლებაში ინოვაციებით, ასევე დიდი, ულამაზესი კამპუსითა და უხვი კლასგარეშე (სპორტული, მუსიკალური თუ სხვა) აქტივობებით, რაც, ჩემი აზრით, ტრადიციულ სასწავლო პროცესზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ცხოვრების თვალსაზრისით, ადაპტაცია არ გამჭირვებია, რადგან მანამდე ორჯერ ვარ ნამყოფი ჩინეთში. სწავლის მხრივ ახლაც ადაპტაციის პროცესში ვარ, იმის გამო, რომ საკმაოდ დატვირთული სასწავლო გრაფიკი გვაქვს. გარდა ამისა, ვინაიდან უნივერსიტეტის ბაზაზე უამრავი სახის კლასგარეშე აქტივობა ტარდება, ხშირად მიჭირს არჩევანის გაკეთება, თუ რომელში მირჩევნია მონაწილეობა. რაც შეეხება ენის ბარიერს, რაც ჩამოვედი, ჩინურ საზოგადოებაში ცხოვრებისა და კომუნიკაციის პრობლემა თითქმის არ შემქმნია, მაგრამ სწავლის/ლექციების პროცესში ხშირად ვაწყდები სირთულეებს და, რა თქმა უნდა, დავალების უცხო ენაზე მომზადებას/სალექციო კურსის გაგებას უფრო მეტ დროსაც ვანდომებ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ არა მხოლოდ პროფესორ-მასწავლებლები, კურსელებიც ძალიან კეთილგანწყობილნი არიან და უცხოელი სტუდენტებისადმი მხარდაჭერით გამოირჩევიან. ვთვლი, რომ ამ უმაღლეს სასწავლებელში მიღებული განათლება ძალიან დიდ როლს ითამაშებს ჩემს კარიერაში, რადგან აქ გვაქვს ყველანაირი რესურსი მრავალმხრივი განვითარებისთვის.

2015 წელს მოვიპოვე ჩინეთის მთავრობის ერთწლიანი სტიპენდია, ჩინური ენის შესასწავლად. შესაბამისად, 2015-2016 წლებში ვსწავლობდი პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტში, ჩინური ენის გაძლიერებულ კურსზე. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, უპირველესი მიზანია, მაქსიმალურად გამოვიყენო ის შესაძლებლობები, რაც ამჟამად მაქვს და მექნება მომდევნო 3 წლის განმავლობაში, დავხვეწო ჩინური ენა და განვვითარდე არჩეული პროფესიის, განათლების მეცნიერებების, განხრით. ვიმედოვნებ, რომ აქ მიღებული განათლებით შევძლებ, დავეხმარო ჩემს ხალხს და ქვეყანას.

თსუ და რამდენიმე რჩევა კონკურსში მონაწილეობის მსურველ სტუდნტებს

ჩემს წარმატებაში გადამწყვეტი როლი თსუ-მ ითამაშა, სწორედ თსუ-ში დავიწყე ჩინური ენის შესწავლა და ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს პირველ ჩინური ენის მასწავლებელს – ნინო ბრეგვაძეს. დიდი მხარდაჭერა მქონდა პროფესორ ნანა გელაშვილისაგან, რომელიც თსუ შორეული აღმოსავლეთის რეგიონთმცოდნეობის ხელმძღვანელია და მუდმივად ცდილობს სხვადასხვა აკადემიური აქტივობით სტუდენტებისთვის განვითარების შესაძლებლობების მოზიდვას. ასევე, პირადად ჩემს შემთხვევაში, დიდი როლი ითამაშა ქალბატონმა ეკატერინე ნავრომაშვილმა (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევებსა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი), რომელიც, ჩემთვის მასწავლებლის ეტალონია და მისგან ბევრი რამ ვისწავლე. გარდა თსუ-სა, კონფუცის კლასისა და კონფუცის ინსტიტუტის ხშირი სტუმარი გახლდით, რაც, აგრეთვე, ძალიან დამეხმარა. ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ მარინე ჯიბლაძეს, რომელიც კონფუცის ინსტიტუტის დირექტორია და საქართველოში სინოლოგიის განვითარება უმეტესწილად სწორედ მის სახელს უკავშირდება; და ბატონ ჩე ეუშანს, რომელიც კონფუცის კლასის დირექტორია და ამ ინსტიტუტის აქტივობებით ჩინური კულტურის გავრცელებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის. ამ ადამიანებმა მომცეს მოტივაცია და, ამგვარად, დიდი როლი შეასრულეს ჩემს წარმატებაში.

დიდი სურვილი მაქვს, რომ თსუ-შიც იყოს კონფუცის ინტიტუტი/კლასი და უფრო მეტად გაძლიერდეს შორეული აღმოსავლეთის რეგიონთმცოდნეობის მიმართულება, ვინაიდან სტუდენტების მხრიდან დაინტერესება ბოლო წლებში საკმაოდ დიდია, ჩინეთის მხრიდან მხარდაჭერაც უფრო და უფრო იზრდება.

სტუდენტებს, რომელთაც სურთ კონკურსში მონაწილეობის მიღება, ვურჩევდი, რომ მეტი ყურადღება მიაქციონ ჩინური ენის შესწავლას. იმის მიუხედავად, რომ ჩინური ენის ცოდნა აუცილებელი არ არის და შესაძლებელია ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლაც, ჩინური კულტურისა გასაცნობად და აქაურ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის აუცილებელია ელემენტარული ჩინური ენის ცოდნა. ჩემი დაკვირვებით ამას კანდიდატების შესარჩევი კომისიაც დიდ ყურადღებას აქცევს. ამასთანავე, ვურჩევდი, რომ სასურველ უნივერსიტეტს დროულად დაუკავშირდნენ, რადგან ზოგიერთი უნივერსიტეტი ძალიან ადრე ასრულებს სტუდენტების მიღებას.

„შემოდგომის ლეგენდის“ 10 წელი

ფინალისტები საკუთარი შთაბეჭდილებებისა და ნაშრომების შესახებ

პირველი გვერდიდან

მწერლების აღმოჩენა და მათი გაცნობა მთელი საქართველოსთვის. ეს მიზანი 10 წლის განმავლობაში შესრულებულია – კონკურსის გამარჯვებულთაგან არაერთი დღეს უკვე წარმატებული შემოქმედია.

კონკურსში მონაწილეობას საქართველოს მასშტაბით არსებული ყველა აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები იღებენ. იგი ორ ეტაპად ხორციელდება. წელს პირველ ტურში მონაწილეობა 216-მა კონკურსანტმა მიიღო. 10 ფინალისტი შიდა შესარჩევმა ჟიურის წევრებმა გამოავლინეს.

ამ დროისთვის ჟიურის წევრები – დათო ტურაშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, მაკა ღღოკონენი, ლევან ბერძენიშვილი და შარშანდელი გამარჯვებული ხატია იათაშვილი, სამი გამარჯვებულის გამოვლენას ცდილობენ. კამათი და აზრთა სხვადასხვაობა ამ პროცესის მთავარი ნაწილია. საუკეთესო სამეულის გამოვლენას კი დრო სჭირდება.

სანამ საბოლოო გადაწყვეტილება გახდება ცნობილი, საიუბილეო კონკურსის ათივე ფინალისტს გაგაცნობთ. თითოეულ მათგანს განსხვავებული მიზნები და სურვილები აქვთ, განსხვავებულია ის ადგილებიც, სადაც თითოეულ მათგანმა ახალი ნაშრომის შექმნა გადაწყვიტა. ზოგისთვის კომფორტული სივრცე მარანი აღმოჩნდა, ზოგისთვის სახურავი, მწვანე ბალახი და ხმაურიანი სასადილოც კი.

***

„წერის დროს კომფორტული გარემო მნიშვნელოვანია. თავდაპირველად გარეთ გადავწყვიტე მეწერა, თუმცა შემცივდა და უფრო თბილი ადგილის ძებნა დავიწყე“, – ამბობს კონკურსის ერთ-ერთი ფინალისტი, სალომე ადამია, რომლის ადგილსამყოფელის პოვნაც გაგვიჭირდა და არც არავისთვის გაუმხელია, რამდენიმე საათი სად წერდა ახალ ნამუშევარს. სალომე თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტის 1-ლი კურსის სტუდენტია. კონკურსის ფინალისტი რომ გახდა, შემთხვევით, ფეისბუქით გაიგო. „მობილური ტელეფონი გათიშული მქონდა, სიები შემთხვევით ვნახე ფეისბუქზე და ძალიან გამიხარდა. საინტერესოა ჩემთვის აქ ყოფნა, თემაც ძალიან მომეწონა, ნებისმიერი რამ შეიძლებოდა დაგვეწერა ამ თემისგან და შემდუდულები არ ვყოფილვართ. თავიდან იდეა მალევე მომივიდა, შესავალი დავწერე, მერე გადავაკეთე, დავისვენე და ისევ შევცვალე რაღაცები“, – ამბობს სალომე. ის თავის ნაწერებს მეგობრებს აკითხებს. სურს რომ საკუთარ ნაწერებში ფილოსოფია და ლიტერატურა გააერთიანოს და ასე გადმოსცეს თავისი სათქმელი.

„ფილოსოფია ძალიან მაინტერესებს და ვცდილობ, რომ ჩემს ნაწერებში გავაერთიანო ჩემი ფიქრები, ლიტერატურა და ფილოსოფია ერთად, პერსონაჟებს გადმოვაცემინო, სიტყვებით ან საქციელებით, ჩემი სათქმელი. მსგავს კონკურსში პირველად ვიღებ მონაწილეობას და საინტერესო გამოცდილებაა ჩემთვის“, – აღნიშნავს სალომე.

***

თემურ ბოიძე 2016 წელს ლიტერატურულ კონკურსზე „წერო“ მესამე ადგილის პრიზიორი გახდა. შემოდგომის ლეგენდის ფინალისტების შორის ერთხელ უკვე მოხვდა, მაგრამ როგორც იხსენებს, ის ბედნიერი წუთები, მალე უსიამოვნო შეგრძნებამ შეცვალა. გაიგო, რომ სგამბოლში წიგნების ფესტივალზე სხვა პროექტით უნდა წასულიყო და კონკურსში მონაწილეობის მიღება ვეღარ შეძლო. „მერე ვეღარც სგამბოლში წავედი და ვერც შემოდგომის ლეგენდაში მივიღე მონაწილეობა. წელს ძალიან გამიხარდა ჩემი სახელი და გვარი ათეულში რომ წავიკითხე. მოთხრობა, რომელიც კონკურსისთვის გამოვგზავნე, 4-5 წლის წინ დავწერე, არსად არ მქონდა გაგზავნილი, ჩემს ერთ მეგობარს ჰქონდა აღრე წაკითხული და შემახსენა მისი არსებობის შესახებ. სიუჟეტური იდეა მომწონდა, მაგრამ ენა, რომლითაც მეწერა, არ მომეწონა, ძალიან მიამიტური იყო. პაგარა თემუკას შორიდან ხელი დავუქნიე და გადავაკეთე. ამბავი სოფელში მცხოვრებ ერთ გოგოს ეხება. მიუხედავად გენდერული ბარიერების რღვევისა, დღეს ბიჭებმა და გოგოებმა ძალიან ცოტა რამ იციან საკუთარი სხეულების შესახებ.

ბავშვობიდან ქალების ისტორიები მაინტერესებდა, მათი სიმართლე უფრო საინტერესოდ მეჩვენებოდა, იმიტომ, რომ რა ფილმებსაც ვნახულობდი და ვკითხულობდი წიგნებს, ყველგან მთავარი პერსონაჟები კაცები იყვნენ. ამდენად, ჩემს მოთხრობებში ვცდილობ ქალების ამბები მოვყვე“, – ამბობს თემური.

თემურ ბოიძე ჩანაწერებს თავის საყვარელ ადამიანს აკითხებს. თუ ვერ გაიმარჯვა, მაგისტრატურაზე ჩაბარების შემდეგ, აუცილებლად კიდევ ერთხელ ეცდება კონკურსში მონაწილეობის მიღებას. თორმეტსაათიანი ნაწერის შესახებ მხოლოდ ამას გვანდობს, რომ „გავაკეთე ის, რაც აქამდე არ გამიკეთებია, გავრისკე და ენახოთ, რა იქნება“, რა თქმა უნდა, არ გვეუბნება, რა სიახლე შეიგანა საკუთარ წერის სტილში. ამბობს, რომ როდესაც პირველ პირში წერს, სულ ცდილობს სქესის იდენტიფიცირება არ მოხდეს, რათა მკითხველმა თვითონ გადაწყვიტოს, ვინ ყვება მთავარ ამბავს.

***

კონკურსში მონაწილეობის მიღება თინათინ უგრეხელიძემ 2017 წელს სცადა მაგრამ არ გაუმართლა. „წელს რომ გავაგზავნე მოთხრობა, პესიმისტურად ვიყავი განწყობილი. მგონია, რომ ძალიან კარგი ბავშვები და თითქმის, პროფესიონალები ხვდებიან ფინალისტებს შორის; ისინი, ვისაც კარგად გამოსდის წერა. მე ასე არ ვუყურებ ჩემს თავს. რომ გავიგე ფინალისტი ვიყავი, შოკირებულ მდგომარეობაში ჩავვარდი, ძალიან გამიხარდა“, – ამბობს თინათინი. ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო მიმართულების სტუდენტია. სექტემბერში, შემოდგომის ლეგენდის წინასაიუბილეო კონკურსს, როგორც ჟურნალისტი, ისე ესწრებოდა. წელსაც გადაწყვიტა მონაწილეობის მიღება და კონკურსში მოთხრობა „უთქმელი სევდა“ გამოაგზავნა.

„მოთხრობაში ობოლი გოგონას შესახებ მიწერია, რომელიც დედასთან ერთად გაჭირვებულად ცხოვრობს. ყოველთვის მინდოდა გადმომეცა სოფელში ჩაბუდებული სევდა. არ აქვს მნიშვნელობა რა ტიპის სევდაა, სოფელში სულ არის სევდა და მინდოდა ერთ-ერთზე დამეწერა. იმპროვიზაციული ტურის ნამუშევარშიც ჩანს ეს სევდა. სევდა ყველაფერს აქვს, ამ ადგილსაც და, ვფიქრობ, რომ ბუნება ერთ-ერთი ინსპირაცია იყო ჩემი. ძალიან ლამაზია აქაურობა. ახალ ნაწარმოებში ყურადღება პროფესიას მივაქცევ და იმას, რომ 70-იანი წლები შემხვდა. ვნახოთ, არ ვიცი როგორი გამოვიდა. ვფიქრობ, რომ დანარჩენი 9 მონაწილე ნამდვილად ღირსეულია და ყველას აქვს გამარჯვების შანსი. შესაბამისად, ჩემი მოლოდინები მცირდება. თუმცა, გამარჯვება, კიდევ დიდი სტიმული იქნება ჩემთვის“, – ამბობს თინათინი.

***

ილია ჭანგურიამ წერა 15 წლიდან დაიწყო. მისი მოთხრობები სხვადასხვა ლიტერატურულ გაზეთსა და კრებულში იბეჭდებოდა.

ილია ზუგდიდში ნინოშვილის 25 ნომერში ცხოვრობს, მისი მოთხრობის სახელიც „ნინოშვილის 25“-ია. მოთხრობამ ილიას წარმატება მოუტანა და კონკურსის საუკეთესო ათეულშიც შევიდა.

„ნაწყვეტი ცოტა დიდი ტექსტიდან გადავაგზავნე. „ნინოშვილის 25“ ერთ გოგოზეა, რომელმაც თავი ჩამოიხრჩო. სხვადასხვა პერსონაჟები კი სხვადასხვა ამბებს ჰყვებიან მთავარ პერსონაჟზე. ამბავი არ არის რეალური, თუმცა რეალურია სხვადასხვა ქალაქებსა და რეგიონებში მომხდარი ფაქტები ნაადრევ გათხოვებაზე, თვითმკვლელ ქალებზე, ეს გოგო ალბათ იმათი ყველას სახეა“, – ამბობს ილია.

მისი თქმით, თუ წელს კონკურსში ვერ გაიმარჯვა, სანამ სტუდენტი იქნება, სულ გამოაგზავნის თავის მოთხრობებს. ამჟამად თსუ ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის 1-ლი კურსის სტუდენტია. კონკურსში მოსწონს გარემო, მონაწილეები, წერის პროცესი და ის სიმშვიდე, რაც დახვდა. ფიქრობს, რომ კომედიის დაწერა რთულია, ტრაგიკულ სიტუაციაზე კი ყველას გული წყდება. თავის ახალ ნაშრომზე ბევრს ვერაფერს გვიყვებს. ამბობს, რომ საერთოდ ვერ ფიქრობს ახალ მოთხრობაზე.

***

ჟიურის დიდი მოწონება დაიმსახურა მოთხრობამ „კოწიკა“, რომლის ავტორიც ცოტნე ავსაჯანიშვილია. ამბობს, რომ კოწიკა თვითონაა. მისთვის ამ მოთხრობის წარდგენა იღბლიანი აღმოჩნდა – საუკეთესო ათეულში მოხვდა, თუმცა ცოტნე 2016 წელსაც ფინალისტებს შორის იყო. წელს კი უკვე კონკურსის მოგება აქვს მიზნად დასახული.

„კოწიკა მე ვარ, აი, უსაქმური, მაგრამ კარგი გიპები რომ არიან, ეგეთია. რომანტიული აღმაფრენები რომ აქვთ. კოწიკას, რატომღაც სომხეთში, გიუმრიში წასვლა მოუნდება, შერის კონცერტზე, ხოდა გზაში ერთ ბარიგას გაიცნობს, სახელი არ მახსოვს, რა დავარქვი. ჰოდა, ისე მოხდება, რომ ბოლოს კოწიკას საზღვარზე მიახვრეტენ. მაგრამ ყველაზე ცუდი ისაა, რომ ამ ბარიგის, ზე-ბარიგა, თუ რა ჰქვია?!, პაბლო ესკობარივით გიპი, არის კოწიკას ბავშვობის ძმაკაცი. რომ გაიგებს ამ ამბავს, შურისძიებას გეგმავს. მაგრამ რომ აღმოაჩენს, რომ თავისი ბრალი იყო, ამბობს, თავს ხომ არ მოვიკლავო?!“, – ასე აღწერს ცოტნე მოკლედ საკუთარ მოთხრობას; 12 საათში დაწერილი ახალი ნამუშევრის შესახებ კი ბევრს არაფერს გვიყვება, გვანდობს მარგო იმას, რომ სტილი ჰგავს, თუმცა სიუჟეტი სხვა არის. რაც მთავარია, მთავარი პერსონაჟი თვითონ აღარ არის და იმპროვიზაციულ ტურში დაწერილი მოთხრობით ცდილობს ქართული პოლიტიკის გაშარჟებას. ცოტნე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით სწავლობს. „თემა ძალიან მომეწონა, ზოგადი იყო და ჩემს სიუჟეტს ვფიქრობ, კარგად მოვარგე. ჩემმა გმირმა დიპლომი უნივერსიტეტიდან იმიტომ ვერ გაიგანა, რომ შემთხვევით მხედრიონში მოხვდა. დავცინი ქართულ პოლიტიკას, მაშინდელსაც და ახლანდელსაც, პოლიტიკური სპექტრი არ იცვლება, სახეები იცვლებიან მხოლოდ. იმედია დამეხმარება ეს მოთხრობა, რომ კონკურსი მოვიგო. 2016 წლის შემდეგ სპორტული ჟინი მქონდა კონკურსში მონაწილეობის და ახლა მოსაგებად ვარ მოსული“, – ამბობს ცოტნე ავსაჯანიშვილი.

***

კონკურსის ერთ-ერთი ფინალისტი, ვაჟა სანთელაძეა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. ილიასგან განსხვავებით, მისი მოთხრობა რეალურ ადამიანზეა. ვაჟა, როგორც ამბობს, ბევრს არ წერს, მისთვის წერა პერსონაჟებთან ბრძოლაა და მათზე გამარჯვება.

„ნაწყვეტი, რომელიც გამოვაგზავნე, დიდი მოთხრობის ნაწილია. ამბავი ერთ ადამიანს ეხება, რომელსაც არ მოსწონს ქვეყნის ტრადიციები. ვყვები ამ ადამიანის თავგადასავლებს, ცხოვრებას. ეს ადამიანი რეალურად არსებობდა, ზუსტად არ ვიცი მისი ცხოვრება როგორ განვითარდა, თუმცა ჩემს მოთხრობაში, ჩემი ვერსია გადმოვეცი.

კონკურსში, ვფიქრობ, ძლიერი მონაწილეები არიან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ოთხი მათგანი უკვე იღებდა მონაწილეობას და ჩემგან განსხვავებით ისინი ბევრს წერენ. სულ რამდენიმე მოთხრობა მაქვს დაწერილი და არც მიყვარს სწრაფად წერა. პერსონაჟებთან ჭიდილში ვარ და მათთან ბრძოლაში. უკვე გამარჯვების შემდეგ ვწერ ჩემს ნააზრევს, დღესაც ასე მოხდა“, – ამბობს ვაჟა.

მისთვის გამარჯვება იქნება კიდევ ერთი სტიმული, რომ წერა გააგრძელოს, თუმცა წერის შეწყვეტას არც აპირებს.

„წერა იმიტომ მიყვარს, რომ ჩემს ჭიას ვახარებ“, – გვეუბნება ვაჟა.

კონკურსში მონაწილეობის მიღება თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა თამარ მამარდაშვილმა, რამდენჯერმე სცადა. ამბობს, რომ წელს უფრო მომზადებული იყო, სპეციალურად კონკურსისთვის დაწერილი მოთხრობა, „ზეითუნის მალამო“ გამოგზავნა და საუკეთესო ათეულშიც მოხვდა.

12-საათიანი წერისთვის მზადებაც ასე განსაკუთრებულად დაიწყო – სილქნეტის მიერ კონკურსანტებისთვის ნაჩუქარი პლედ-ჰუდი ჩაიცვა, ზითელი ბერეტი დაიფარა, ჩაი გაიმზადა და წერას შეუდგა.

„ვეცადე ახალი მოთხრობა არ ყოფილიყო არც მარგო ემოცია და არც მარგო სიუჟეტი. აქ წამოსვლამდე ვერც კი ვიჯერებდი, რომ კონკურსის ფინალისტებში მოვხვდი. ისე გამიხარდა, პირველ რიგში, ჩემს კარგ მეგობარს დავურეკე, რომელიც ჩემი პირველი შემფასებელი და კრიტიკოსია. კარგი რჩევების მოცემა შეუძლია, ჩემს ნაწერებსაც სწორედ მას ვანახებ ხოლმე პირველ რიგში. შემდგომ დედაჩემს და ოჯახის წევრებს.

ჩემი მოთხრობა, „ზეითუნის მალამო“ ერთი ქალის შესახებაა. დედის შესახებ, რომელიც ზეითუნის მალამოს დამზადებით, თავისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვანაირად გამოხატავდა თავს. დამზადების პროცესში, ქრონოლოგიურად არის შვილებთან, ოჯახის წევრებთან მისი დამოკიდებულებები. ამბავი იმის შესახებაა, რომ ოჯახის წევრები ჩვენთვის ძალიან ძვირფასი და განსაკუთრებული ადამიანები არიან, ამას კი გვიან ვხვდებით ხოლმე“, – ამბობს თამარი.

***

„არ ვიცი, რას მომცემს გამარჯვება, იმაზე მეგს, რაც აქ ყოფნამ მომცა“, – ასე იწყებს ჩვენთან საუბარს თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი გიორგი ჭკადუა. გასულ წელს მოთხრობა გამოგზავნა, თუმცა ფინალისტებს შორის ვერ მოხვდა. წელს კი გაუმართლა. 12-საათიან წერის პროცესს ღიმილით იხსენებს. ამბობს, რომ დღის განმავლობაში რამდენჯერმე გადაწყვიტა, რომ აღარასდროს დაწერდა, თუმცა გარემომ, ადამიანებმა და, რაც მთავარია, საკუთარმა თავმა ამბავი ბოლომდე დააწერინა.

„ჩემთვის სევდა არ არის ნეგატიური მოვლენა. როცა სევდიანად ვარ, უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს. სევდა უფრო მეტად გულწრფელია; იგი ჩემთვის არ არის ტანჯვა, საშუალოა და კარგი ზღვარია. გრძნობებიც უხვად გაქვს და ფიქრიც შეგიძლია.

ძალიან მიყვარს, როდესაც უცხო ადგილას ვარ, უცნობ ადამიანებთან ერთად, რომლებთანაც ახლიდან მიწევს კომუნიკაციის დამყარება. პროექტში გამარჯვება უფრო მეტ თავდაჯერებულობას შემმატებს“, – გვეუბნება გიორგი.

***

ლილი ფულარიანი საკუთარ ნაწერებს საყვარელ ადამიანს აკითხებს, ამბობს, რომ ის საკმაოდ მკაცრია შეფასებებში. კონკურსში მოთხრობა გამოაგზავნა, რომელიც მოღალატე მამაკაცებს ეხება – მოთხრობაში ორი ასეთი მამაკაცია, ერთი კაცი და ერთი კაგა.

„ხშირად მესმის ხოლმე, როცა ამბობენ, ვწერ მაგრამ გამოქვეყნება არ მინდა, მეშინია, რომ არავინ მომიწონებსო. ძალიან კარგია, როცა არ მოგიწონებენ. ამ ადამიანებს ვურჩევდი, რომ რაც შეიძლება ხშირად გაუზიარონ სხვებს საკუთარი ნაწერები. თუ იქნება უარყოფითი რეაქციები, ეს უფრო მეგს მისცემთ მათ, ვიდრე მეგობრები, რომლებიც გეგყვიან, რომ მაგრად წერ“, – ამბობს ლილი.

***

“შემოდგომის ლეგენდაში“ ჩემი მეორედ მონაწილეობის მოგივი ამ კონკურსის ფორმაგმა განაპირობა. კონკრეტულად კი იმან, რომ ცოცხალი, შემოქმედებითი პროცესით, რომელიც 2 დღე გრძელდება, მე თვითონ ვიღებ სიამოვნებას. კონკურსის ჟიურისთან, ორგანიზაგორებთან და მონაწილეებთან კომუნიკაცია კიბერსივრცეში არ სრულდება და საშუალება გაქვს რეალურ სივრცეში დაამყარო კონგაქგი მათთან. ახალი მოთხრობის დაწერასთან ერთად ახალი ადამიანების გაცნობაც საინტერესო პროცესია ჩემთვის. ის, რომ წელს მეორედ ვიყავი ლეგენდის ფინალურ ტურზე, ჩემთვის აქ მოხვედრით გამოწვეულ ემოციურობის ხარისხს არ ამცირებს. წელს სრულიად ახალი, განსხვავებული შეგრძნებები დამიტოვა ლეგენდამ“, – ამბობს თეკლა. 2 წლის წინ „შემოდგომის ლეგენდის“ ფინალზე ყოფნამ გამოცდილება მისცა, წელს უკვე ღელვა, გაცილებით უფრო სასიამოვნო შეგრძნებებმა ჩაანაცვლა.

„წერისთვის განკუთვნილი 12 საათიდან 6 საათი იდეაზე ფიქრში არ გამიტარებია. გამოცდილებით უკვე ვიცოდი, რომ ათას იდეაში “გახლართვას“ ჯობია რაც თავში მოგივა, მარგივად, იმაზე დაიწყო წერა. თორმეგმა საათმა გარკვეულწილად მომცა იმის საშუალება, რომ ჩემი შემოქმედებითად გაზრდა მეჩვენებინა. მომწონს ჩემი მოთხრობა, თუმცა, ასევე მომწონს დანარჩენი ფინალისგების. შესაბამისად, ვერ ვიგყვი გამიმართლდება თუ არა იმედი და სურვილი. ამას უკვე ჟიური გადაწყვეგს“, – გვეუბნება თეკლა.

***

ჟიურის გადაწყვეტილების შედეგად, გამარჯვებულები უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ ფულად პრემიას და „ჯეოსელის“, მფლობელი კომპანია „სილქნეტისგან“ სპეციალურ პრიზებს მიიღებენ. პირველი საპრიზო ადგილის მფლობელი 1000 ლარით და კონკურსის სიმბოლოთი დაჯილდოვდება, მეორე და მესამე ადგილის მფლობელებს კი, შესაბამისად – 700 და 500 ლარი გადაეცემათ.

საიუბილეო ლეგენდის გალა დაჯილდოვების საღამო თბილისის სახელმწიფო უნივერსიგეგში გაიმართება, სადაც კონკურსის ფინალური მოთხრობებისგან შემდგარი ბროშურის და წინასაიუბილეო ლეგენდის შემაჯამებელი წიგნის პრეზენტაცია ჩაგარდება.

***

მათ კი ვისაც, ფინალისგების საკონკურსო ეგაპზე გამოგზავნილი მოთხრობების წაკითხვა სურს, ამას კონკურსის ფეისბუქ გვერდზე „შემოდგომის ლეგენდა“ (www.facebook.com/tsu.legenda/) შეძლებს.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge